საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 42 ოქტომბერი 17 1899 წ. № 42

შინაარსი: ოცნება და სინამდვილე ალ. წულუკიძისა.—სხვა და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—საზღვარ გარეთ.— * * * ლექსი დ. თომაშვილისა.—კოპერნიკიდან დარვინამდე ჰ. სურგულაძისა.—ხალხის გულის მესაიდუმლე (შემდეგი) ვ. გომართელისა.—სურათი, მოთხრობა ელ. წერეთლისა.—ჩვენი სახიობა ვ—ო—სი.—წერილი რედაქციის მიმართ.—კვალის ფოსტა და შეცდომის გასწორება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ოცნება და სინამდვილე.

კაცობრიობის ისტორიის რომელი ფურცელიც გინდათ გადაშალეთ, რა ხანაზედაც გინდათ შეაჩერეთ თქვენი ყურადღება, რომელ ერის ცხოვრებასაც გინდათ ჩაუკვირდით, თუ თქვენ თავბრუ დამხვევი წინათგრძნობით არა ხართ გამსჭვალული, და ნამდვილი ცნობის მოყვარეობით აღჭურვილხართ, უთუოთ შენიშნავთ, რომ ყოველთვის და ყოველგან საზოგადოება სხვა და სხვა ელემენტების კრებულს წარმოადგენს. ერის ცხოვრებას თვით ამ ელემენტების შეტაკება-შეჯახება შეიცავს და წინსვლა მით უფრო ჩქარი და შეუწყნარებელია, რამდენათ უფრო ძლიერი ძალები შეებმიან ერთმანეთს, რამდენათ უფრო ეს შებმა ულმობელი, მხეცურია, რამდენათ უფრო მეტს იძენენ და აუმჯობესებენ საომარ იარაღებს. თუ წინეთ, ბავშობის დროს, როდესაც ადამიანი მესაკუთრე არ იყო, სხვასთან შეერთებული ძალით იმორჩილებდა ბუნების სასტიკ ძალას შემდეგ, რა რომ დავაქკაცდა, მესაკუთრე გახდა, მან ბუნების ძალასთან ერთათ თავისივე მსგავსი ადამიანი დაიმორჩილა, რათა თავის საკუთრებით სავსებით ესარგებლა, დამორჩილებულის ძალა თავის ქონების მჯობესებლათ, დასამუშავებლათ გამოეყენებია. რათ კერძო საკუთრებასთან ერთათ ადამიანი კუთრებაც შეიქნა საჭირო. მონობა წარმოიშ მას შემდეგ წელი წელს მისდევს, საუკუნოებ კუნოებს და ეს დამოკიდებულება კი არსად წინაალმდეგ ის დღემდე უფრო და უფრო ფეხს რებს. ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოთ იცვლიდა, ხან შავათ გვეჩვენებოდა და ხან თე მისი ფორმა იცვლებოდა, მხოლოთ შინაარს თი და იგივე იყო: ძველათ მონობა, საშუა საუკუნოებში ბატონ-ყმობა, მხოლოთ თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში დაქირავებული შრომა. ერთი მხრით ძალა, მეორე მხრით უძლურება, ერთი მხრით სიმდიდრე, განცხრომა, მეორე მხრით სიღატაკე და სიბეჩავე. აი, ეს არის გრძელი ისტორიის მოკლე შინაარსი და ეს შინაარსი ყოველთვის იპყრობდა მოაზრეთა ყურადღებას. უმთავრესი კითხვა, რომელიც ისტორიამ კაცობრიობას დაუყენა წინ, არის: რა არის ამ განთიშვის მიზეზი, როგორ და როდის მოისპობა ეს საოცარი წინაალმდეგობა. ბევრი ნაირ-ნაირი პასუხი უგეს ამ კითხვაზე, მრავალი

მელანი და ქალალდი მოანდომეს მის გადაწყვეტას, მხოლოთ უფრო მეტი ოცნება გამოდგა; მათი წამლები ვეღარ კურნავს ამ საზოგადო სენს, ცხოვრება კიდევ უფრო დიდ ზღუდეებს ავლებს ერის ნაწილთა შორის, და ამნაირათ ოცნება ოცნებათ რჩება და სინამდვილე სინამდვილეთ. ეს კითხვა კიდევ უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რა რომ საწარმოვო ძალთა განვითარებამ ყველას ცხადათ დაუმტკიცა, რომ კულტურის განვითარება, ქვეყნის ეკონომიურათ ზრდა-გამდიდრება, ვერ უზრუნველ ჰყოფს კაცობრიობის უმეტეს ნაწილს, სწორეთ ამ დროს უფრო ღრმავდება ის უფსკრული, რომელიც მდიდარსა და ღარიბს შუაა. პირველი კიდევ უფრო მდიდრდება, მეორე კი უარესათ ღარიბდება. უკანასკნელი საუკუნოების გამოგონებაებმა, რომლებმაც ადამიანს სრულიად დაუმორჩილა ბუნების მკაცრი ძალები, ააყვავა წარმოება, გაათრკეცა შრომის ნაყოფიერება და მრავალი ნივთიერი და გონებრივი ავლადიდება შემატა კაცობრიობის საუნჯეს, ვერ გაათავისუფლა ერთი ადამიანი მეორის მონობისაგან, ვერ ააყვავა უმრავლესობის მდგომარეობა, ვერაფერი შემატა ქონებრივათ მას; წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაამონა, მეტათ გააღარიბა და საზოგადო ცხოვრების მხიარულ სუფრას დაშორებული, იგი მშიერ-მწყურვალი ქუჩაზე მოხეტიალეთ გახადა. აი, ეს კიდევ უფრო აცვიფრებდა კაცობრიობის მეგობრებს—მოაზრეებს; კიდევ მეტს წერენ და ლაპარაკობენ; რეცეპტები ათასობით გამოდის, მხოლოთ სნეული კიდევ უფრო სნეულდება ამ წამლებით; თურმე ნუ იტყვით საოცარი ავეთმყოფი ყოფილა! მას აფთიაქიდან გამოტანილი წამალი არ უხდება, მალამოები იარებს ვერ ამებს;—ჰგავს ეს სხვა სნეულებაა და სხვანაირი წამლობა ეჭირვება. ამნაირი ექიმთაგანი იყო ერთი გამოჩენილი ეკონომისტი მე-XVIII საუკუნის რობერტ მალტუსი, რომლის აზრით ამ უბედურების მიზეზი ხალხის გამრავლებაშია. ხალხი მრავლდება ბევრათ მეტათ ვიდრე საზრდო, და უმეტესობა მშიერ მწყურვალია. ამიტომ ამნაირი წამალი მიცეთ: აუკრძალეთ ყველას, ვისაც საკმაო შეძლება არ აქვს ცოლის შერთვა. ვისაც შერთული—ჰყავს სხვა-და-სხვა საშუალებით მოუსპეთ ღონისძიება შთამომავლობის შექმნის და სხვა. ეს წამალი გამოუდეგარი შეიქნა, რადგან მიზეზი გამრავლება არ ყოფილა. მას მერმე ხალხი გამრავლდა; კიდევ მეტათ საზრდო ტკბილეულობაც. მხოლოთ ეს უმცირესობის ხელში მოგროვდა, და მით წინანდელი მდგომარეობა ვერ შეიცვალა. რობერტ მალტუსი მეცნიერი იყო, მხოლოთ მისი მოძღვრება—ოცნება, სინამდვილეს დაშორებული. გულუბრყვილო და ლმობიერმა რობერტ ოუენმა მთელი თავისი ქონება ამ საქმეს მოანდომა. ის გვერდში ამოუდგა დაჩაგრულთ და ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მისი აზრით ამნაირი გაჭირვებულთა არსებობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მუშა ქარხნის მეპატრონეს ეტოქება; ვერ ურიგდება მის საქციელს, მხოლოთ ეს დამოკიდებულება წარმოშობილია უმეტესათ მუშების გაუნათლებლობისა და უზნეობისაგან, ამიტომ მისი უპირველესი მიზანი იყო მშრომელთა ზნეობრივი მხარის განსპეტაკება. გავაუმჯობესოთ ზნეობრივათ ხალხიო, ამბობდა რობერტ ოუენი, და გაუმჯობესდება იგი ქონებრივათაცო. ამ აზრის მისაღწევათ მან გახსნა სამაგალითო ქარხანა, დააარსა სკოლები, შექმნა სხვა-და-სხვა დაწესებულება მშრომელთათვის, მაგრამ ამ სიმპატიურმა საქმიანობამ ფეხზე დააყენა რამდენიმე გაჭირვებული, შეღავათი მისცა ათს, ოცს, ასს, მხოლოთ კითხვა მაინც კითხვათ რჩება, და ზნეობრივი ქადაგება ქონებრივ უთანასწორობას ვერ სპობს; სიტყვა რაც უნდა გულწრფელი და ლმობიერი იყოს, მხოლოთ მაშინ იქცევა საქმეთ, როცა იგი არსებულ ეკონომიურ ურთიერთობას შეეფერება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დარჩება „ხმად მღაღადებელისა“. სენსიმონი, ფურიე, ლუიბლანი და სხვა მრავალი დიდ ბუნებოვანი და უბრალო კუდაბზიკა მწერლებიც, მრავალ პროექტებს, სისტემებს, გეგმებს თხზვენ; ხოლო მათი შეთხზული საისტორიო დოკუმენტების არქივს გადაეცა, და სინამდვილემ ნათლათ დაგვიმტკიცა, რომ ისინი დიადი ოცნების მქონე ადამიანები იყვენ, მართალია, ხშირათ წრფელი ნდომით და საქმით გატაცებულნი, მაგრამ მაინც სინამდვილეს ცოტათ თუ ბევრათ დაშორებული. „მაშ რაღაა ეს სინამდვილეო“? შემოგვძახებს მოუთმენლათ გაჯავრებული მკითხველი. ამას, მეგობარო, წიგნებში ნუ ეძებ, იგი მხოლოთ ცხოვრებაში მოიპოვება; დაწერილს მხოლოთ შეუძლია დაგეხმაროს თავი გაართვა იმ რთულ და ათასგვარ სოციალურ პირობებს, რომელიც ამ სინამდვილეს ჰქმნის, ზრდის, და თავის ნებაზე ამოქმედებს. სინამდვილე გვეუბნება: ეს ასე უნდა იყოს, სანამ არსებული ეკონომიური ურთიერთობა ძირიანათ არ შეცვლილა; სანამ ფესვი არ მოთხრილა, ღერი არ მოჭრილა, მტოები იხარებენ, იზრდებიან და მისი ნაყოფი ისევ ისე ტკბილ-მწარე იქნება საზოგადოთ, ნექტარი ერთისთვის და შხამი მეორესთვის, სიმდიდრე იქით მიიხვეტება, სადაც მეტია, სიღარიბე იქ უფრო გამძვინვარდება, სადაც მშიერ მწყურვალნი არიან. სიმდიდრე თანამედროვე წყობილებაში იქ მეტია, სადაც მეტი საქონელი წარმოებს, სადაც მეტი საცვლელი ღირებულება მზადდება; მხოლოთ ამ უკა-

ნასკნელის პატრონ-ბატონი ისაა, ვისაც ის მასალა ეკუთვნის, რომლითაც ეს საქონელი მზადდება, ვისაც შეუძლია მის დასამუშავებლათ ქირა გაიღოს და სხვისი ფიზიკური ძალა მოიპოვოს. ვისაც შეუძლია განვითარებული ტეხნიკით ისარგებლოს, ის მეტ საქონელს აწარმოებს, მეტს იძენს და კიდეე უფრო მეტი შემძლე ხდება ეკონომიურათ. რა რჩება მას, ვინც ამ საქონლის ნამდვილი მწარმოებელია, ვინც უსახსრობის გამო თავის ძალას სხვას აძლევს, რადგან თვითონ საწარმოო იარაღები არა აქვს, საჭირო მასალები არ აბადია? მას აქვს მხოლოთ ის, რითაც ამაების გადაკეთება, დამზადება შეიძლება, რაც საქონლის ნამდვილ ღირებულებას შეიქს და მით მისი პატრონის ჯიბეს მატებს—ფიზიკური ძალა. ამის ნაცვლათ თუ ღღიური საკვები მიიღო—უნდა დაკმაყოფილდეს; მხოლოთ მისი გამოკვება მარტო მას როდი ეჭირვება. ეს თვით საქმისთვის არის აუცილებელი საჭიროება, რათა მისი განახლებული ძალა ისევ საქონლის შესაქმნელათ გამოიყენებოდეს. ამნაირათ სიმდიდრე იზრდება, მდიდარი მდიდრდება, ღარიბი უკანასკნელ ფიზიკურ ძალას სხვისი სიმდიდრის შეძენას ანდომებს, თვისი ტანჯვით სხვის ახარებს, და ბოლოს სადმე სარდაფში ჩამკედარს, ყველასაგან დავიწყებულს სამარეში ჩატკეპნიან ხოლმე. აი რას გვაჩვენებს სინამდვილე ყველგან.

ეს არის კაცობრიობის საჭირ-ბოროტო კითხვა; ეს არის ის საერთო სენი, რომელიც კულტურამ შემოიტანა ცხოვრებაში; ის მატლი რომელიც გულღვიძლს ულრღნის საყოველთაო მშვიდობიანობას. როგორ დახვდენ ჩვენებური პუბლიცისტები ამ შემოპარულ სენს, როგორი ექიმები გამოდგენ, რა წამალი მიაწოდეს? არავითარი! ჩვენში ეს სენი ვერ შემოვაო, ჩვენი ერის ორგანიზმი მაგ ჭირისაგან დაცულია, ჩვენ მხოლოთ კულტურა შემოვიტანოთ, რაც კარგია სხვაგან, აქ წამოვიღოთ, ცუდი იქვე დავტოვოთ; თუ შემოსვლა მოინდომოს, ნუ შემოვუშვებთ; ქარხანა—ზაეოდები გავიჩაღოთ, შრომის ნაყოფიერების გასაორკეცებლათ ევროპის ტეხნიკა შევიძინოთ, მოხლოთ რაც ევროპაში დღევანდელ წყობილებას ბოროტება შეუქნია: ჩარჩ ბაცაცობა, სიღარიბე-სიღატაკე, პროსტიტუცია დანაშაული და სხვა ათასგვარი სენი, რითაც ასე მწარეთ კვენესის და ოხრავს დაწინაურებული ქვეყნები, ჩვენ არ გვინდა, ნუ მივიღებთო. ვიქადაგოთ ზნეობაზე, ვდევნოთ ჩარჩ-ბაცაცები, მოვსპოთ პროსტიტუცია, ყოველანაირი დანაშაული და მაშინ წმინდა, ფაქიზი ცივილიზაცია დაგვრჩება; მით ძალს მოვიკრებთ და გარეშე მტრებსაც ჯეროვნათ შევებრძოლებითო. ასე ღაღადებენ ჩვენი „ნაფიცი“ პუბლიცისტები; ამნაირათ უარყოფთ მათ საზოგადოებრივი განვითარების ისტორია და რა გასაკვირველია, რომ მათ ეუცხოოთ ყოველი ახალი აზრი, რომელიც არ ეთანხმება ხან გასულ ცხოვრების იდეალებს. მათ არ იცან, რომ დღევანდელი წარმოების თანშობილია ყოველივე ის, რაც მათ აშინებს, ვერ ამჩნევენ მათ შორის განუშორებელ კავშირს; ამ ორ მოვლენას, რომელთაგან ერთი მიზეზია და მეორე შედეგი, სრულიად დამოუკიდებლათ არკვევენ და არჩევენ. იქ, სადაც ცივილიზაცია შედის და თანამედროვე მსხვილი წარმოება ფეხს იკიდებს, სიღარიბე აუცილებელი სენია; ეს, თუ ვნებავთ, ერთერთი პირობაა ახალი მეურნეობის განსავითარებლათ და, სანამ ეს წარმოება საისტორიოთ არ გამხდარა, ეს პირობაც განუწყვეტლივ ხელს უწყობს, აჩქარებს მის. განვითარებას. ამნაირათ შესანიშნავ-ბუნებრივ ნაწარმოებთან ერთათ საზიზღარი ზნეობრივი თვისებები სჩვევია ცივილიზაციას. მას ერთათ შეაქვს ყოველ მხარეში თვისი კარგი და ცუდი მხარე, როგორც მიზეზი და შედეგი; ამიტომ მათი დაშორება, გამორჩევით შეთვისებ-შეგუბება შეუძლებელია, ეს ოცნებაა, სინამდვილე კი სხვას გვეუბნება, ხსნა იქ არ არის სადაც ჩვენ პუბლიცისტებს ჰგონია. ქადაგება მშიერს ვერ გააძღებს, ფილანტროპია ყიელას ვერ დაიხსნის გაჭირვებისაგან, და ერს ამით შველა არ მიეცემა. ყოველ დაჩაგრულ ელემენტს, ყველას, ვინც ბნელით მოცულ გარემოებაში ჩავარდნილა და ცხოვრების მუხრუჭებით შეწუხებული მხოლოთ კვნესას-ღა ახერხებს, უპირველეს ყოვლისა თავისი ვინაობა უნდა ამცნო, შეაგნებინო ის პირობები, რომელშიაც ის იმყოფება, თვითცნობიერება გაუღვიეო, რათა თავისი წამხდარი საქმე თითონვე გამოაკეთოს. ვერავინ იმდენს ვერ გააკეთებს სხვისთვის, რამდენსაც თავისთვის გააკეთებს, ყველა ცდილობს კარგათ თუ ავათ თავის ცხოვრების პირობები გაიუმჯობესოს, რაც შეიძლება მეტი სიერცე დაიჭიროს თავისუფლათ სულის მოსათქმელათ. ასე რომ სენის წამალი შორს საძებარი როდია, ის თანვე დააქვთ სნეულებს, საჭიროა მხოლოთ ამცნო, შეაგნებინო, ცნობა და ცოდნა იარაღათ წაინძღვაროს და მით ჰკაფოს მედგრათ ეკლიანი გზა. თქვენ შეგიძლიათ მხოლოთ დაეხმაროთ თვითცნობიერების გაღვიეებას, რომლის საუკეთესო პედაგოგი, უშვენიერესი სკოლა, თვით ის პირობებია, რომელშიაც ისინი იმყოფებიან, საიდანაც თქვენც და სხვაც, ვისაც უნდა ამ საჭირბოროტო კითხვის შეგნება და გადაწყვეტა, უნდა იძენდეთ ცოდნას და გამოცდილებას. პუბლიცისტის მოვალეობაა უთხრას: აი რა პირობებშ ხარ, ჩაუკვირდი და გაიგებ, გაინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძერი და ცხოვრებასაც გაიადვილებო! აი ეს არის ერთათ ერთი მალამო, რომელზედაც თვით სინამდვილე მიგვითითებს, ჩვენი პუბლიცისტების ბჭობა და ქადაგება კი ცალიერი ოცნებაა.

ალ. წულუკიძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.

რადგან ტრანსვაალიდან ტელეგრამები ინგლისელთა ცენზურის ქვეშ გამოდის, ამიტომ ძალიან საძნელოა კაცი ერწმუნოს იქიდან მოსულ დეპეშებს. 13 ამ თვის ტელეგრამა, მაგალითათ, იუწყებოდა, რომ ბურები საშინლათ დამარცხდენ ლედი-სმიტთანა. ნატალიდან მოსული ტელეგრამა კი სულ უარს ჰყოფს ამ ფაქტს. ერთი სიტყვით დანამდვილებით რაიმეს გაგება შეუძლებელი ხდება. საერთოთ შეიძლება თქვას კაცმა, რომ ინგლისელთა საქმე ვერ უნდა მიდიოდეს ჯერ ჯერობით კარგათ, რადგან ლონდონში ყველა დაძმარებული და ყურ-ჩამოყრილია.

—

ამ კვირის სწორს, 24 ოქტომბერს, დანიშნულია მთა-წმინდაში დიმ. ყიფიანის ძეგლის კურთხევა.

—

კავკასიის მთავარ-მართებელმა თ. გოლიცინმა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას შეწირა 2000 მ.

—

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება, რომელიც დანიშნული იყო გასულ კვირისათვის, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შედგა. ხელ-ახალი კრება დანიშნულია დღეისთვის. სხვათა შორის კრებამ უნდა განიხილოს ის კითხვა, თუ რა საჭიროებისათვის მოიხმაროს თ. გოლიცინისაგან შეწირული ფული.

—

გაზეთ „მშაკს“ ტელეგრამით ატყობინებენ პეტერბურღიდან სომხურ ჟურნალის „არაქსის“ რედაქტორის გულამირიანცის გადაცვალებას.

—

ამ დღებში მოხდება კახეთის მევენახეთა კერძო სხდომა, რომელიც განიხილავს კახეთის მევენახეთა მომავალ კრების პროგრამას.

—

10 ოქტომბერს კინალამ კიდევ უბედურება დატრიალდა ყარსის რკინის გზაზე. ის მატარებელი, რომლითაც გზის დასათვალიერებლათ მიემგზავრებოდა კომისია, ლიანდაგს გადაცდა. კატასტროფის მიზეზათ მიწის ზვავი ალმოჩნდა, რომელიც ნიალვრისაგან ჩამოწოლილიყო. საბედნიეროთ არავინ დაშავებულა.

—

11 ოქტომბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგ. გომს და ქარელს შუა სახალხო მატარებელი შეჩერებულ იქნა. იმის გამო, რომ ლიანდაგზე ორ ადგილას ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ შპალები დაელაგებიათ.

12 ოქტომბერს ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, თფილისში აკურთხეს და დაიწყო კავკასიის სამეურნეო სამეცნიერო გამოფენა, რომელიც სამხედრო მუზეუმშია გამართული.

—

პეტერბურღის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება ამ მოკლე ხანში განიხილავს თფილისის შუამდგომლობას პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბ. ჭიათურა შდებარეობს მდ. ყვირილას გალმა გამოლმა. ყვირილას მარცხენა ნაპირზე გაშენებულია თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე ორ-წყებათ სხვა-და-სხვა დუქნები და მაღაზიები; იქვე მაღაზიების ზემოთ არის კერძო სადგომი სახლები, აფთიაქი და პატარა პირველ-დასაწყისი სკოლა, რომელშიაც 30—40 შეგირდი სწავლობს; ამ სკოლაშივე იმართება ხოლმე ჭიათურის მუშათა საკვირაო სკოლა. ამ მხრითვე (ჩრდილოეთით) მოდის პატარა მდ. ჭიათურა, რომელიც მრავალ წისქვილებს ატრიალებს, და კლდიდან გამოქუხს მაჯის სისხო ანკარა, ცივი წყარო. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე დუქან-მაღაზიები სრულიად არ არის, აქ მხოლოთ ერთი სასტუმროა „პარიჟი“. აქეთ მხარეს ერთი და ოშირათ ორსართულიანი სადგომი სახლებია. სამხრეთით აყუდებულია კლდეები, რომლებშიაც ჭიათურის სიმდიდრე—შავი ქვა იმალება. დასავლეთით ვაკე ადგილებია, სადაც რკინის ლიანდაგი გადის და აქეთ იქით ლიანდაგისა პლატფორმებია გაკეთებული ქვის დასაყრელათ. ქვას ბევრი სხვა-და-სხვა მწარმოებელი ჰყავს: ფრანგი, ბერძენი, პოლონელი, ქართველი და სხვა; მსხვილი მწარმოებლები უფრო უცხოელები არიან. ირაჟრაჟებს თუ არა, დაიწყება საშინელი მოძრაობა ცხენებით, ურმებით, ხარ-კამეჩით, ჯორებით და სხვა. ვერავის ვერ ნახავთ ტყვილა-უსაქმოთ მოსიარულეს, როგორც სხვა ჩვენ დაბა-ქალაქებში; ყველა შავი ქვით გამურული დიდი, პატარა, ნასწავლი, უსწავლი, თავადი და გლეხი ხელ-ჩართულ მუშაობაშია. გვირაბები, რომლებიდანაც შავი ქვა გამოაქვთ, სიგანით ორი—ორ არშინ ნახევარია, სიმაღლით ზოგან კაცის სიმაღლე, ზოგან უფრო დაბალი; გვირაბში საშინლათ ბნელა და ამის გამო ფარნებით მუშაობ-

ბენ. შიგნით სიმაგრის გულისათვის გვირაბის მაღლა ცა ხის ბიჯგებით არის დამაგრებული. აქაც, გვირაბში, ვინ იცის რა და რა ხალხი არ მუშაობს: თათარი, ოსი, იმერელი, და სხვა; ბევრია აგრეთვე ყმაწვილებიც 12 - 15 წლისა. სამუშაოს აქ ხან ნარდათ იღებენ და ხან ორ ფუთ ქვაზე 5 კაპ. ღებულობენ; ამ შემთხვევაში გარეთ, გზაზე გამოტანაც მუშების მოვალეობაა; ყოველ შემთხვევაში ფუთობით გარიგებაზე უფრო მოგებულია მუშა, ვინემ საჟენობით. აი მაგალითათ: ერთი კუბ. საჟ. ქვა=2500 ფ.; თუ მუშა ფუთობით არის გარიგებული, იმ შემთხვევაში 2500 ფ., ქვაზე მიიღებს 62 მ. 50 კ. ერთი კუბ. საჟ. 42 კაცი ერთ დღეს გააკეთებს, აქედან თითო კაცს დღეში ერგება დაახლოებით 1 მ. 48 კ., მაგრამ მოიჯარადრემ მუშებზე უკეთ იცის ანგარიში და ამისთვის ნარდათ აძლევს მუშებს კუბ. საჟ. 40—45 მან. ახლა ვნახოთ, თუ რამდენს ზარალობს ნარდათ აღებით მუშა. 45 მ. რომ 42 კაცს გაუყოთ თითოს დაახლოებით 1 მ. 7 კაპ. მოუწევს. ამ ნაირათ უკანასკნელ შემთხვევაში მუშა კარგავს დღეში 41 კაპ., მაგრამ არც პირველ შემთხვევაშია მუშა მოგებული: გარეთ გამოტანილ ქვას მოიჯარადრე მთელი კვირის განმავლობაში სასწორისაკენ ეზიდება. შაბათს მუშა ანგარიშს თხოვს მოიჯარადრეს—რამდენი ფუთი ქვაც გაიტანე, იმდენი $2^1/_2$ კ. მომეციო. აქ სინდისი და ჯიბის გასქელების ინტერესი შეეტაკებიან ერთმანეთს და, არა მგონია, მეორემ ხშირათ არ ჩააჩუმოს ხოლმე პირველი. შრომა ცოტათ თუ ბევრათ განაწილებულია; ზოგი ფეხ-შიშველა, პერანგის ამარა მოტეხილ ქვას გარეთ ეზიდება; ზოგი ქვას ცუდ პირს აცლის, ზოგი კიდევ დატეხილ ქვას იღებს და სინის ცხრილში ცხრილავს. 10—12 წლის ბავშები მთელი დღე მუშაობაში ხუთ შაურს იღებენ. გვირაბებში მუშაობა თითქმის 5—6 სოფელშია და მუშების რიცხვი 3000 აღემატება.

ა—ლი.

—

ს. კახური (გურია). კახური მდებარეობს ოზურგეთიდან ხუთი ვერსის მანძილზე. მცხოვრებლებთა უმთავრეს ნაწილს შეადგენს გლეხკაცობა. საზოგადოთ კახურის ბუნება უხვი და მდიდარია, მხოლოთ ამ სიმდიდრის გონიერი მოხმარება და სარგებლობა ვერ მოუხერხებიათ... აქაური მცხოვრებლები მხოლოთ ხვნა-თესვას მისდევენ; თესვენ უმეტეს ნაწილათ სიმინდს და ღომს, სიმინდი კარგათ ხარობს სუფსის პირათ მდებარე ადგილებზე. სოფლელი გლეხკაცი მთელ თავის ძალღონეს მიწის მომუშავებას ანდომებს; მთელი წლის განმავლობაში თოხს არ შორდება, მაგრამ თავისი საყოფი „მჭადი" მაინც ვერ მოჰყავს. გაზაფხულამდის დიდი გამოზოგვით ეყოფა სიმინდი და მერე კი სულ ხელცარიელი რჩება. გლეხი ხედავს, რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა დიდათ შევიწროვდა; ხედავს, რომ მარტო მიწის მომუშავებამ ვერ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილებანი, ამიტომ ის ტოვებს თავის წვრილ ცოლშვილს და მიისწრაფის ქალაქებისაკენ ლუკმა პურის საშოვნელათ... ღვინის მოსავალი წელს გვარიანი იყო. უმთავრესათ აქ ადესის (იზაბელა) ვენახებია. ამ ორი-სამი წლის წინეთ აქ მეაბრეშუმეობას სრულებით არ მისდევდენ, ახლა კი ძალიან გავრცელებულია. ორიოდე სიტყვა აქაურ სწავლა განათლებაზედაც ვთქვათ. სხვა სოფლებში რომ ორკლასიანი სასწავლებელია, აქ კი ერთკლასიანიც ძლივს ბჟუტავს. სხვაგან რომ სამკითხველოა, აქ სამკითხველოს სახელიც არ იციან და გემო ხომ მით უფრო. სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი 40-ს არ აღემატება. სკოლა მოშორებულია სოფელზე და ზამთრობით სკოლაში მოსიარულეთა რიცხვი განახევრდება ხოლმე. ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ ხალხის უვიცობის და სხვა და სხვა ინტრიგების გამო, ვერც ერთ მასწავლებელს ვერ გაუძლია... აქ იყო მასწავლებლათ ს. ლაძბაშიძე, რომელსაც ხალხის გულგრილობამ ბევრი კეთილი იმედები ჩაუშალა და იძულებული გახადა თავი მიენებებია ამ სკოლისათვის. შემდეგ მასწავლებლათ დანიშნეს ბ. ორჯონიკიძე, რომელიც დაუღალავათ მეცადინეობდა მოსწავლეებთან, თავისუფალ დროს უკითხავდა მოწაფეებს სხვა და სხვა წიგნებს, რამდენჯერმე წარმოდგენაც გამართა და ბოლოს სამკითხველოს დაარსების შესახებაც დაიწყო მეცადინეობა, მაგრამ აბა მარტო ის რას გააწყობდა? დამარების მაგიერ გაავრცელეს ჭორები, ათასნაირი ინტრიგები, შეუვარდენ სახლში აქაური რაინდები და ხანჯლით დაჭრეს; ამას შემდეგ რაღა დაედგომებოდა? და ეს პატიოსანი მუშაკიც მოშორდა ამ სოფელს... იმის შემდეგ დანიშნეს ახალი მასწავლებელი, რომელსაც ვუსურვებთ, რომ რაიმე კვალი დატოვოს თავისი ს. კახურში ყოფნისა. სასურველია, რომ აქაური მოწინავე საზოგადოებაც მიეშველებოდეს მასწავლებელს თავის აზრების განხორციელებაში.

მე თითონ ვიცი, რომ თავ. ივ. ნაკაშიძეს იმდენი სხვა-და-სხვა ნაირი ქართული და რუსული წიგნები აქვს, რომ ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით ერთ პატარა სამკითხველოს დააკმაყოფილებს, და შემდეგ ყველა კეთილ-მოქმედი, საზოგადოების გულშემატკივარი და აგრეთვე იმ სოფლის შვილები, რომელნიც სხვათა ქალაქებშია, ხელს მოუწყობენ და შემწეობას აღმოუჩენენ. დროა, დრო, ბატონებო, თვალი გაახილოთ და უქმ დროს-ტარებას ბოლო მოეღოს.

დათიკო ელმიტისშვილი.

საზღვარ-გარეთ

ინგლის-ტრანსვაალი. ვერც კი მოასწრეს ჰააგაში მომხდარ კონფერენციაზე შეკრებილ სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგატებმა ქალაქიდან გამოსვლა, რომ სამხრეთ აფრიკიდან ზარბაზანთა გრუგვინვა მოისმა; ჯერ კიდევ ჰაერში ქუხდა უკანასკნელი სიტყვები ჰააგის კონფერენციის ორატორისა ომიანობის წინააღმდეგ, რომ ინგლის-ტრანსვაალმა სამკვდრო სასიცოცხლოთ ერთმანეთზე მიიწია. მართალია არც ერთ დადგენილებაზე ჰააგის კონფერენციისა ინგლისს ხელი არ უწერია, მართალია ისიც, რომ დიდ რაიმე შედეგს არავინ არ მოელოდა ამ კონფერენციისაგან, მაგრამ ის კი წარმოუდგენელი იყო, თუ ასე ხელ-და-ხელ გაქარწყლდებოდა, ფეხ ქვეშ გაითელებოდა დღეს ის, რასაც გუშინ ასე ხმა მაღლა ექომაგებოდა ყველა დაწინაურებული ერები.

ასე თუ ისე, ბრძოლა კიდეც დაიწყო, და ორივე მებრძოლის მხრით კარგა ძალი მსხვერპლი შეეწირა მარსს. დღეს დღეობით ყველას ის აინტერესებს, თუ ვინ გამოვა ბრძოლის ველიდან გამარჯვებული. ერთი მხრით დგას უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფო, მეორე მხრით—პატარა რესპუბლიკა; ერთი (ინგლისი) დაქირავებული ჯარით ომობს, მეორის რაზმი კი ინგლისის ჯავრის ამოყრის სურვილით გატაცებულ მეომართაგან შედგება; ერთი სხვის მხარეში უფლებათა გაფართოვებას ეძიებს, მეორე კი თავისუფლებისათვის ღვრის სისხლს. წინდაწინ იმისი გადაწყვეტა, თუ ვის დარჩება გამარჯვება, რასაკვირველია, ძალიან ძნელია, მხოლოთ ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, თუ ინგლისმა გაიმარჯვა, რაც უფრო მოსალოდნელია, ძალიან ძვირათ დაუჯდება მას ეს გამარჯვება. საშინელი ფანატიზმით არიან შეპყრობილნი ბურები: არ დარჩენილა კაცი არც ქალი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, რომ ბრძოლის ველზე არ გასულიყო. ამ საერთო გატაცებამ გადალახა ტრანსვაალის საზღვრები და თან აიყოლია ორანჟის რესპუბლიკანელებიც. მოხუცმა პრეზიდენტმა კრიუგერმაც კი მოინდომა იარაღის ხელში აღება და ბრძოლის ველზე სიკვდილი:—მე დავიწყე ეს ომი და პირველი მე უნდა მოვკვდეო,—სთქვა მან ერთ თავის სიტყვაში. ყველა დაწინაურებულ ერთა სიმპატია ბურებისკენაა: ათასობით ეწერებიან იტალიელ-გერმანელ და ფრანგთა ვოლონტიორები ბურებთა რაზმში და იბრძვიან ინგლისელთა წინააღმდეგ.

დღევანდელი შეტაკება პირველი როდია ინგლისა და ტრანსვაალს შორის. ჯერ კიდევ 1881 წ. მოხდა იმათ შუა ომი; სამ წელს შემდეგ 1884 წ. კიდევ გაიმართა ბრძოლა, რამაც კარგი შედეგი მოუტანა ტრანსვაალს: ინგლისმა იცნო ის დამოუკიდებულ რესპუბლიკათ. ერთათ-ერთი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ვერ ხდიდა ტრანსვაალს სრულ დამოუკიდებელ მხარეთ ის იყო, რომ მას არ ჰქონდა უფლება ინგლისის დაუკითხავათ რაიმე პირობებით შეჰკროდა უცხო სახელმწიფოებს ან ადგილობრივ ერებს გარდა ორანჟის რესპუბლიკისა. რაც შეეხება ინგლისის ქვეშევრდომთა მდგომარეობას ტრანსვაალში, იმათ 1884 წ. კონვენციის (ხელშეკრულობის) ძალით არავითარი განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები არ ჰქონდათ მინიჭებული. ასე იყო საქმე აქამდის, და აი დღეს ხელ ახლა გაიმართა ბრძოლა ამ ორ ერთა შორის; ბრძოლა, რომელმაც საბოლოოთ უნდა გამოარკვიოს, თუ რა სახელი ატაროს ტრანსვაალმა, ბრძოლა, რომელმაც ან ბორკილი უნდა გაუყაროს ბურებს, მონობის უღელი დაადგას, ან არა და თავისუფლების დროშა ააფრიალებიოს.

გერმანია. ჰანოვერში გასულ კვირაში გაიმართა სოციალ-დემოკრატთა კონგრესი, რომელსაც 250-ზე მეტი დელეგატი დაესწრო. პრეზიდენტებათ კონგრესზე არჩეულ იქნენ პოლ ზინგერი და ბლიუმი. დღევანდელი გერმანიის სოციალ-დემოკრატია ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ არის გაყოფილი. ერთი მხრით დგას ბერშტეინი თავისი ახალ-გაზდა სოციალ-დემოკრატებით, და მეორე მხრით—დინჯი ბებელი თავის ომში გაწრთვნილ პარტიით. ამ მოკლე ხანში ბერშტეინმა ერთი ბროშიურა გამოსცა, საცა არ ეთანხმება და კრიტიკული თვალით უყურებს მარქსის და ენგელსის ზოგიერთ ტეორეტიულ და პრაქტიკულ დასკვნებს. ის უარჰყოფს, მაგალითათ, კაპიტალის კონცენტრაციას, კერძო მესაკუთრეთა შემცირებას; ის უარჰყოფს მარქსის შეხედულებას, ვითომ მსხვილი წარმოება სულს უხუთავდეს და ჰკლავდეს წვრილ წარმოებას, და თუ მიწათმოქმედების სფერაში გადავალთ,—ამბობს ბერშტეინი,—იქ პირიქით, დავინახავთ, რომ საშუალო და წვრილი-მიწათმოქმედება ვითარდება, მსხვილი კი ისპობა. ბერშტეინს ბევრი თავისებური შეხედულება აქვს იმის შესახებაც, თუ როგორი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატთა ტაქტიკა (მოქმედების წეს-რიგი), ის დიდი მომხრეა, მაგალითათ, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, მარტო პარლამენტარიზმი უძლურიაო,—ამბობს ბერნშტეინი,—სხვა პარტიებთან შეერთებით, ხშირი კომპრომისით და სხვა... ჩვენ უნდა ვეცადოთ ადგილები დავიჭიროთ ლანდტაგებში და ქალაქთა სამმართველოებშიო; პარტიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მორიგ კით-

ხევბს, ვინემ განაგრძოს კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგომაო.

ამ კონგრესზე განსაკუთრებით საყურადღებო იყო ბებელის სიტყვა, რომელმაც მთელი 6 საათი გასტანა. რა თქმა უნდა ბებელის სიტყვა ბერშტეინის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც სოციალ დემოკრატთა მეთაურმა უსაყვედურა, თქვენ ცალმხრივათ ისარგებლეთ სასტატისტიკო ცნობებით მარქსის შეხედულებათა დასარღვევათ კაპიტალისტურ წარმოებას მომავლისა და კაპიტალთა კონცენტრაციის შესახებაო. დასასრულ ბებელმა შემდეგი რეზოლიუცია წარუდგინა კონგრესს: სოციალ-დემოკრატია ახლაც, როგორც წინეთ, კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგას, მას სურს ძალა-უფლება მოიპოვოს, რათა საწარმოვო საშუალებანი საზოგადო საკუთრებათ გადააქციოს. პარტია უარს არ ამბობს ზოგიერთ შემთხვევაში მხარი დაუჭიროს ბურჟუაზიულ პარტიებს, თუ საქმე პოლიტიკურ ან სოციალურ რეფორმებს შეეხება, მაგრამ ის ყოველთვის თავის დამოუკიდებლობას უნდა იცავდეს; იგი გადაჭრით უარს ჰყოფს ყოველ იმ ცდა-მეცადინეობას, რომ შეიცვალოს მისი დამოკიდებულება, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილების, ისე ბურჟუაზიულ პარტიების შესახებ; პარტიას საჭიროთ არ მიაჩნია არც თავის ტაქტიკის, არც პროგრამის და არც სახელის გამოცვლა. კონგრესმა მიიღო ეს რეზოლიუცია 216 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-სა. თუმცა რეზოლიუცია საერთოთ მიღებულ იქნა, მაგრამ ზოგიერთებმა წინააღმდეგობა განაცხადეს მის მესამე მუხლზე, რომლის ძალით სოციალ-დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს ზოგიერთ შემთხვევაში ბურჟუაზიულ პარტიებს. რეზოლიუციის სასარგებლოთ სხვათა შორის ილაპარაკეს ქ.ქ. როზა ლიუქსემბურგმა და კლარა ცეტკინამ.

კონგრესის გათავების დროს თავ-მჯდომარემ ზინგერმა, სხვათა შორის, თქვა, რომ მიუხედავათ ზოგიერთ შეხედულებათა სხვა-და-სხვაობისა, ჩვენ მაინც დავრწმუნდით აქ, რომ პარტია, როგორც ერთი მთელი რამ, ყველა კითხვებში ერთ სულოვნობით არის გამსჭვალულიო.

სხდომა გათავდა მუშათა მარსელიეზას მღერით.

საფრანგეთი. შეთქმულობის საქმის გამოძიება დამთავრდა და გადაეცა პროკურორს, რომელმაც ორი კვირის ვადა მოითხოვა საბრალდებულო ოქმის შესადგენათ. საქმეს განიხილავს სენატი, როგორც უზენაესი სასამართლო, რომლის სხდომები დაიწყება შუა ნოემბრიდან. სამართალში მიცემული იქნება 15 კაცი.

***

ვით ღამეში, როს წყვდიადით
ქვეყანაა დაბურული,
ბუჩქზე მჯდომი ელჩი ცისა
მარტოთ-მარტო სტვენს ბულბული,
და აღვიძებს არე-მარეს
ის ტკბილი ხმა საოცარი,
თან ცის მადლით გამსჭვალული
მას ყურს უგდებს მთა და ბარი,—
სწორედ ასე, როს ფიქრები
შავ-სუდარით გულს მეხვევა,
როცა ეკლით მიჩნს სიცოცხლე
და ღვთის რისხვათ თვით კურთხევა,—
მაშინ ამ ბნელ კუნაპეტში
გულში რაღაც გაიელვებს,
გრძნობებს მართავს სასიცოცხლოთ,
გულს სიამით ამიღელვებს!..
მაშინ თვალწინ სიცოცხლე კვლავ
ტკბილ-მოვლენათ დამესახვის
და იმედიც ზეციური
ხმა-ტკბილ-ნაზათ ჩამომძახის:
„აქ ვარ, კვლავ აქ, სამუდამოთ
გულს იმედი ჩასახული,
ჰა, დადგება საცა არის
სანეტარო გაზაფხული!
ჭირს გაუძელ, მოითმინე,
ჰა საცაა გათენდება
და მაშინ კი გულის წყლული
თავის თავათ გამრთელდება!..“
ამ ხმას ვისმენ გულის ძგერით,
ბულბულსავით იმას ვსახავ,
მარა, ღმერთო, ტკბილ გაზაფხულს
მოვესწრები, დავინახავ?..

დ. თომაშვილი.

კოპერნიკიდან დარვინამდე.

(გადმოკეთებული პროფესორი ეტერის სტატიიდან)

პ. სურგულაძისაგან.

კოლუმბმა 1492 წელს აღმოაჩინა ევროპიელთათვის უცნობი ქვეყანა, რომელსაც სახელათ დაერქვა ამერიკა. ამას წინეთ დიდი ამბით იდღესასწაულეს 400 წლის იუბილეი ამ ქვეყნის აღმოჩენისა. სულ შეუმჩნევლათ ჩაიარა მეორე იუბილეიმ, თუმცა ეს 350 წლის იუბილეი შეეხებოდა უფრო დიდ მნიშვნელო-



ორი ბებია და ორი შვილიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან აღმოჩენას, რომელმაც უხმაუროთ, ჩუმათ გადაუშალა კაცობრიობას ჭეშმარიტი „ახალი ქვეყანა“. მე მაქვს მხედველობაში წიგნი მეცნიერი მაგისტერის კოპერნიკისა: „De revolutionibus orbium coelestium“, რომელშიაც ახსნილია ცის სხეულთა მოძრაობა. ავტორმა ძლივს მოასწრო ამ წიგნის დაბეჭვდა და გარდაიცვალა 1543 წ. ნიურენბერგში. რა მოიტანა ახალი კოპერნიკის წიგნმა? უწინდელ დროში ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ: მიწა არის უძრავი სხეული; ის არის ცენტრი, საფუძველი მთელი სამყაროსი, მაზე ამოყვანილია ცა ზღუდესავით და ამ ცაზე დაცურავენ მნათობნი: მზე, მთვარე და ვარსკვლავები, რომელნიც ანთებული არიან ამავე დედამიწის გასანათებლათ. კიდევ უფრო ზევით... ქვევით, მიწას ქვეშ კი მომწყვდეულია ჯოჯოხეთი თავისი მავნე ძალებით. ასეთი იყო ძველი წარმოდგენა. ამ წარმოდგენით ყველაფერი დედამიწის მოსაწყობათ არის გაჩენილი, დედამიწა კი — ადამიანის საცხოვრებლათ. კოპერნიკის მოძღვრებამ მოაშორა ადამიანს ასეთი მედიდურობა, აიყვანა ის ზევით-ზევით ცის სივრცეში და იქიდან დაანახა, რომ დედამიწა ერთი მორჩილი ბურთია, რომელიც დატრიალებს უსასრულო სივრცეში, როგორც ერთი წვრილმანი რგოლი დიდი აწყობილი სისტემისა. ყოველი ნაწილი ამ სისტემისა ემორჩილება ერთ ძალას, მოძრაობს ერთ და იმავე მიმართულებით ერთი დიდი სხეულის მზის გარშემო. ასეთი შეხედულობა სრულიად არღვევდა ძველებურ წარმოდგენას, ამიტომ დიდი ბრძოლა იყო საჭირო, რომ ძველი, არა მეცნიერული აზრები დანგრეულიყო. აი, ერთი მაგალითი ამ ბრძოლისა. უკვე 90 წელი გასულიყო, რაც დაიბეჭდა კოპერნიკის წიგნი, რომ დაუწყეს დევნა მეორე გამოჩენილ ასტრონომს გალილეის, რომელიც კოპერნიკის მიმდევარი იყო. ის აიძულეს უარ ეყო კოპერნიკის სისტემა. დაადებიეს სახარებაზე ხელი და ისე საჯაროთ გამოაცხადებიეს, მე უარ ვყოფ კოპერნიკის თეორიასო. მარა ნელ-ნელა და გამუდმებული ბრძოლით კოპერნიკის აღმოჩენამ მაინც გაიკვალა გზა.

მისი გამარჯვება ორ მხრივ იყო შესანიშნავი: ერთი იმით, რომ ეს შეხედულობა დაემყარა საფუძვლათ ბუნების მეტყველებას და მისცა მას ჭეშმარიტი მიმდინარეობა. მეორე მხრით ახალმა თეორიამ, მძლავრმა თავისი ლოღიკით, გამოაფხიზლა, გააცოცხლა მიძინებული, მოდუნებული აზროვნება. ხშირათ მოვლენა ისე არ ხდება, როგორც ადამიანს ეჩვენება. ჩვენ გვეჩვენება, თითქო მიწა დგას, და მზე და მთვარე მის გარშემო ტრიალებს — ეს შეხედვითი მოძრაობაა, კოპერნიკმა გვითხრა, თუ გინდა ნამდვილი მოძრაობა და სიდიდე გაიგო ცის სხეულთა, მარტო თვალებს არ უნდა ერწმუნო, უნდა სხვა თვალხედვითი იარაღი აიღო. საჭიროა დაანებო თავი დედამიწას, თავის მედიდურობას, საქმეში პირადი არაფერი შეიტანოო. ამით იმან გაათავისუფლა აზროვნება ვიწრო კაცურ ფარგლიდან, გაუკაფა გზა მეცნიერულ გამოკვლევას, კაცობრიობის გონების შეუჩერებელ მისწრაფებას ჭეშმარიტებისაკენ, ამიტომ ჩვენ გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილი გონიერი ახსნა ბუნებისა იწყება კოპერნიკიდან და არა ფრენსის ბეკონიდან, როგორც ბევრს ჰგონია. რამდენი დაბრკოლება ელობებოდა გზაზე მეცნიერებას? აქ ცრუმორწმუნოება და უგნურება, იქ სარწმუნოებრივი და მოქალაქობრივი ბატონობის მწყურვალნი ცდილობდენ ეჩვენებიათ ქვეყნისთვის ბუნების მეტყველება წინააღმდეგია უცვლელი ავტორიტეტების, ის აჯანყებს ქვეყანას მათ წინააღმდეგო. ყოველი ძალით ცდილობდენ შეეფერხებიათ მისი გავრცელება სახლში, მარა სულ ამაოთ. მათი ცდა ფუჭი გამოდგა. ჭეშმარიტების და გონების ძალა გაცილებით უფრო დიადი გამოდგა, ვიდრე ყველა მათი მოწინააღმდეგეები.

მე XVII საუკუნემ გაითქვა სახელი მეცნიერული მექანიკის შემუშავებით, რომელიც დაავგვირგვინა ისაკ ნიუტონმა მიმზიდველობის თეორიით. ერთხელ ნიუტონი ბაღში იჯდა. უეცრათ შენიშნა, რომ ხიდან ვაშლი ჩამოვარდა. დაუფიქრდა ნიუტონი ამ მოვლენას: ხიდან ვაშლი მიწაზე ვარდება, მაშ მიწა ვაშლს მიიზიდავსო. ისევე მიიზიდავს ის ყოველ მაზე მყოფ საგანს, რომელიც ეცემა მის ზედა პირზე, თუ გზაში რაიმე დაბრკოლებამ არ შეაჩერა. სწორეთ ამ ძალის ბრალია, ყოველ საგანს რომ სიმძიმე აქვს, რა ძალითაც მიწა მიიზიდავს, ისაა მისი სიმძიმე. მიწიერი საგნის მიმზიდველობა ეს კერძო გამომჟღავნებაა ერთი საზოგადო თვისებისა, რომელიც ქვეყნიერების ყოველ სხეულს აქვს. ყოველ სხეულს აქვს მიმზიდველობის ძალა; მიიზიდავს მიწა მთვარეს, მთვარე და მზე მიწას; რომელიც უფრო მძლავრია, ის მეორე სხეულს ან სულ თავის ზედა პირზე მიიკრავს, ან და აიძულებს მას გარშემო იტრიალოს. მთვარე მიწის გარშემო ტრიალებს, მიწა მზის გარშემო. როცა ეს გაიგეს, მაშინ ადვილი ასახსნელი გამოდგა, თუ რატომაა, რომ მზე ხან დაგვენახვება და ხან თვალიდან გვშორდება. იგივე ითქმის მთვარეზედაც. ასეთმა შეხედულობამ ბოლო მოუღო ასტროლოგიას; ამ ცრუ მეცნიერებას ეგონა, რომ ადამიანის ბედი და უბედობა, მისი სიკვდილი და სიცოცხლე შეკავშირებულია უსაზღვრო ბუნების მოვლენებთან. აკი იციან ჩვენში ყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვსო, ეს შეხედულობა არის ბავშური, იმას ჰგონია რომ სამყაროს სხეულთა მოძრაობა ადამიანურ ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, რომ ბუნების ძალები ადამიანსავით თავის ნებაყოფლობით მოქმედობენ. ასეთი შეხედულობა სრულიად დაირღვა. ახლა აშკარა შეიქნა, რომ ყოველი მოძრაობა ვარსკვლავისა, მზისა და სხვა სხეულებისა ემორჩილება განსაზღვრულ კანონებს, რომ ეს მოძრაობა არავითარი ნებით არ იცვლება.

ბ. სურგულაძე.

(შემდეგი იქნება)

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. ნეკრასოვი.

VIII.

ცხოვრებიდან ამონაკითხი სურათები ნინოშვილს ხშირათ სოციალურ კითხვებს აღუძრავდენ ხოლმე; ერთ ამგვარ კითხვას ის შეეხო „არშიყნ"-ში, მაგრამ გადაჭრით კი არ გადაჭრა, მხოლოთ წამოაყენა კითხვა, მისი გადაწყვეტა კი ისევ მკითხველს მიანდო. ელიზბარ თაფლაძე ოცდა თუთხმეტი ორმოცი წლის კაცია; მისი შესაფერისი იყო ოცდა ათი წლის ქალი, მაგრამ ის მდიდარი კაცი იყო, სოფლის ჩვეულებას არც ის ჩამორჩა; ყველა ლამაზ და ყმაწვილ ქალს ეძებდა საცოლეთ და იმანაც ჩვიდმეტი წლის ვარდიკო შეირთო. ვარდიკო იყო მეტათ ლამაზი გარეგნობის, წყნარი და გაურყვნელი ხასიათის ქალი; მისი ბუნება ვერ შეეთვისა ელიზბარს, რომელმაც ცოლი უფრო ქვეყნის დასანახავათ შეირთო, ვიდრე ბუნებრივი ლტოლვილების მიხედვით; ვარდიკოს შეუყვარდა ოცდა ერთი წლის სიკო და კიდეც გახდა ამ სიყვარულის მსხვერპლი. მოთხრობის ბოლო ნაძალადევია. ელიზბარი არ იყო იჭვიანი კაცი, მაშასადამე ცოლის ერთგულებაში სრული დარწმუნებული იყო; ის კმაყოფილია მით რომ ცოლი „ტკბილი სულიერი" შეხვდა; მისი ილიუზია ერთბაშათ ირღვევა: ცოლს საყვარელი ჰყოლია. ელიზბარისათვის ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ შეუძლებელია, ასე უცებ ცოლის სიკვდილიც განეზრახა და ხანჯალიც ისე დაემალა, რომ სხვებს ვერ შეემჩნიათ. შეუძლებელი იყო აგრეთვე, გაბრაზებული ელიზბარი ხალხს არ შეკავებია და ცოლი მოეკლევინებია: ვინ იქნება იმდენათ სულელი, რომ ვერ შეეტყო, სამოყვროთ მიიწევდა თუ სამტროთ ელიზბარი ცოლისაკენ! ელიზბარი არ იყო იმდენათ მოხერხებული კაცი, რომ თავისი გაბრაზება დაემალა, სხვებმა არა შემატყონრა და ჩემი განზრახვის ასრულება არ დამიშალონო, ან კი სად ეცალა მას, ამისთანა დროს ეს ეფიქრა. ყოველივე ეს რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ელიზბარი ცოლის მოკვლას მაინც არ გადაწყვეტდა. მართალია ცოლისაგან ღალატი ქმარს თავის მოჭრათ მიაჩნია, მაგრამ ელიზბარი ხანში შესული კაცი იყო; გატაცებით სიყვარული მას აღარ შეეძლო; ცოლი მიტომ შეირთო, რომ ყველა ცოლს ირთავდა და იმასაც როგორღაც ეჩოთირებოდა უცოლოთ დარჩენა. მას იმდენათ არ უყვარდა ვარდიკო, რამდენათაც მისი მადლიერი იყო; ამიტომ ცოლის ღალატიც ისე ძლიერათ ვერ იმოქმედებდა ელიზბარზე, როგორც ავტორმა დაგვიხატა: ელიზბარი ცემდა, გააგდებდა ცოლს, მორჩა და გათავდა.

დავუბრუნდეთ ახლა იმ სოციალურ კითხვას, რომელიც ნინოშვილმა წამოაყენა. სიკოს და ვარდიკოს ერთმანეთი უყვარსთ, მაგრამ საზოგადოება დევნის ამგვარ სიყვარულს და ამიტომ იძულებული არიან გულწრფელი და პატიოსანი სიყვარული ქურდულათ მალონ. — საუცხოვო პატიოსანი სიყვარულია, როცა ღამეებს ერთათ ატარებენო! გაიღიმებს ზოგიერთი მკითხველი. მაგრამ სქესებრივი მხარე ყმაწვილი ქალისა და კაცის სიყვარულის აუცილებელი სარჩულია, ხოლო აქედან სრულებითაც არ გამოდის ის დასკვნა, ვითომ სიყვარულში ქვენა გრძნობის მეტი არა იყოსრა.

„ასეთი ჩემი საქციელი ხალხს დიდ დანაშაულობათ მიაჩნია, ამბობდა გულში სიკო, როცა ერთღამეს ვარდიკოსთან მიდიოდა. — მერე რამდენს ცოდვას სჩადის ხალხი ამის გამო. რამდენი ადამიანი ჰკლავს თავის ცოლს იმის გულისთვის, რომ შეარცხვინა თავისის ქცევითაო, რამდენი ყმაწვილი ქალი იკლავს თავს სახელის გატეხის შიშითა? რამდენი საწამლავი სქარჯულა, რამდენი ადამიანი დაღუპულა, რამდენი ახალ დაბადებული ბავში ცოცხლათ დამარხულა მარტო იმის გულისათვის, რომ გარყვნილება დაეფარათ და ქვეყანაში არ შერცხვენილიყვნენ. კარგია ეს? რატომ ისე არ უყურებენ იმ საქმესაც, როგორც სმას, ჭამას, სიცილს, ლაპარაკს, თამაშს?"... აქ სიკოს შეეშინდა, იქნება ძლიერ შორს შევტოპე ჩემის ფიქრებითაო; — მაგრამ არა, ხალხი მართალია, უკეთ იცისო, გაიფიქრა გულში".

სიკოს აზრი უკანასკნელ სტრიქონს გარდა ნინოშვილის აზრია. ნინოშვილმა იცოდა, რომ ხალხი არ იყო მართალი, თორემ არც ზემოხსენებულ სიტ-

*) იხ. „კვალი" № 41

ყველს წარმოათქმევინებდა სიკოს; მაგრამ თავისი აზრის ლოლიკური განვითარება შეწყვიტა და გაჩუმება ამჯობინა. ამ კითხვის გადასაწყვეტათ მარტო სიმპატია-ანტიპატია არა კმარა. ამისათვის საჭიროა, მოკლეთ განვიხილოთ: რამ წარმოშობა და განავითარა ადამიანში ის შეხედულება, რომ ქალმა გათხოვებამდის სქესებრივი უმანკოება უნდა დაიცვას და გათხოვების შემდეგ ქმრის ერთგულება; ეს ნათლათ არის გ-მორკვეული ფრ. ენგელსის წიგნში—„ოჯახის კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს აღორძინება“-ში, რომელშიაც მას მოყვანილი აქვს და შევსებული მეცნიერი მორგანის გამოკვლევანი. თავ-და-პირველათ, როცა ადამიანი ველურათ ცხოვრობდა, სრული სქესებრივი არევა სუფევდა ისე, როგორც პირუტყვებში, ე. ი. ყოველი კაცი ყველა ქალების ქმარი იყო, ყოველი ქალი ყველა მამაკაცების ცოლი. აქედან დაწყებული იწყება სხვა და სხვა განსაზღვრა და გაწესრიგება სქესებრივი ურთი-ერთობისა. ჯერ მამასა და ქალიშვილებში მოისპო სქესებრივი არევა; შემდეგ დებსა და ძმებს შორის; ხოლო რამდენიმე დებს ან ბიძაშვილებს შეეძლოთ ჰყოლოდათ რამდენიმე საერთო ქმარი, — რამდენიმე ძმებს ან ბიძაშვილებს საერთო ცოლები. რადგანაც ამგვარ პირობებში მამის ცოდნა ყოველთ შეუძლებელი იყო, დედის კი ადვილი, ამიტომ ნათესაობა და მემკვიდრეობაც დედის გვარზე მიდიოდა, — არსებობდა მატრიარხატი. დროს განმავლობაში საერთო ცოლქმართა რიცხვი თანდათან კლებულობდა; მაგრამ მატრიარხატის მოსასპობათ და ძონოგამიური ოჯახის ასაღორძინებლათ საჭირო იყო შესაფერი ეკონომიური პირობები. ადამიანმა მოაშინაურა გარეული პირუტყვები, გაიჩინა ჯოგები; ამგვარათ დაიბადა სიმდიდრე—სიღარიბე, რადგანაც ზოგს ბევრი ჯოგი ჰყავდა, ზოგს ცოტა, და ნელ-ნელა განვითარდა კერძო საკუთრება: ყოველი ადამიანი ცდილობდა, საკუთარი ჯოგები ეყოლინა, რომ მოცილე არავინ ჰყოლოდა. სანამ მამაკაცს კერძო საკუთრება არა ჰქონდა, ძისთვის საჭირო არ იყო საკუთარი შვილების ცოდნა და ამიტომ მატრიარხატიც ცუდს არაფერს ხელავდა. როდესაც მამაკაცმა კერძო საკუთრება შეიძინა, ძისი ეგოისტური ბუნებისათვის საჭირო გახდა საკუთარი ძემკვიდრეების ცოდნა, რომ თავისი კერძო საკუთრება სიკვდილის შემდეგ მათთვის დაეტოვებია. ახალმა ეკონომიურმა პირობებმა მატრიარხატი უეარგისათ გადააქცია და მის მაგიერ სხვა სოციალური ურთიერთობა მოითხოვა; მამაკაცი შეებრძოლა მატრიარხატს, ნელ-ნელა მოსპო ის და შექმნა პატრიარქალური დიდი ოჯახები ერთი უფროსი მამაკაცის ბრძანებლობის ქვეშ, შემდეგ კი წარმოდგა ნამდვილი მონოგამიური ოჯახი: მამაკაცმა მოთხოვა ქალს, რომელიც ცოლათ მიჰყავდა, რომ ის მხოლოთ მისი საკუთრება ყოფილიყო და ამით ქმრისათვის საშუალება მიეცა, თავისი საკუთარი შვილები ცოდნოდა. ამგვარათ ეკონომიურმა პირობებმა ან კერძო საკუთრების აღორძინებამ დაავალა ქალს, რომ ის მხოლოთ ერთი კაცის ცოლი ყოფილიყო, ქმრის ერთგულება არ დაერღვია და მხოლოთ მისთვის ეძლია მემკვიდრეები. რადგანაც ყოველი ქალი მომავალში მეუღლე და დედა უნდა გაძღარიყო, ამიტომ ერთხელვე ეკონომიური ძიზეზებისაგან წარმოშობილი შეხედულება თანდათან განვითარდა და გაუთხოვარ ქალსაც მოთხოვა უმანკოება. ამგვარათ თუ გაუთხოვარ ქალს საზოგადოება უმანკოების დაცვას ავალებს და გათხოვილს ქმრის ერთგულებას, ასეთი შეხედულება დაბადა და განავითარა კერძო საკუთრების აღორძინებამ. რადგანაც საკუთარი მემკვიდრეების ყოლა მხოლოთ ცოლის ერთგულებაზე არის დამოკიდებული და არა ქმრის ერთგულებაზე, ამიტომ ზემოხსენებული შეხედულება მამაკაცზე ნაკლებათ გავრცელდა. როდესაც საზოგადოების აზრი ქალის ზნეობას სქესებრივი მხრით სასტიკათ ადევნებს თვალყურს, უცოლო ვაჟის ან ცოლიანი მამაკაცის გარყვნილებას ძალიან ადვილათ უყურებს; მამაკაცი თუ სახარბიელო სასიძოს წარმოადგენს, რამდენი საყვარელიც უნდა ჰყოლოდეს, სიძეთ მას ძალიან ცოტა დაიწუნებს; იმ ქალს კი, რომელიც ამ ძრიელ მამაკაცის ბიბაძვას მოისურვებს, საზოგადოებიდან განდევნა არ აცილდება. ზემოხსენებულმა შეხედულებამ ბევრი სარგებლობა მოიტანა, მაგრამ დღეს ზარალიც მოაქვს: ვარდიკოსა და სიკოს ერთმანეთი უყვარსთ, მათ უნდათ ერთათ ცხოვრება, მაგრამ არც საზოგადოება, არც კანონი ამის ნებას არ აძლევს. ვარდიკოს არ შეუძლია კანონიერ ქმართან ცხოვრება, მისი არსება სიკოსკენ ძიისწრაფის; მიეცით მათ შეუღლების უფლება და სრული ბედნიერი იქნებიან. მაგრამ დღევანდელი საზოგადოებრივი წყობილება ამის წინააღმდეგია და ისიი უბედური უნდა იყონ! ძერე განა ცოტაა მათსავით უბედური? ის შეხედულება და კანონი, რომლებიც ვარდიკოსა და სიკოს ბედნიერებას წინ ელობებიან, როგორც დავინახეთ, ეკონომიური ძიზეზების ხაყოფი არიან. ხოლოთ მაშინ მოისპობა ასეთი შეხედულება და კანონიც და განთავისუფლდება სიყვარული, როდესაც შეიცვლებიან დღევანდელი ეკონომიური პირობები, ე. ი. როცა კერძო საკუთრების დღევანდელი ფორმა გადავარდება. და მართლაც დასავლეთ ევროპაში, საცა ეკონომიური პირობები ცვლილებას ეპირებიან და კერძო საკუთრების სიმტკიცე ირყევა, თავისუფალმა სიყვარულმაც კარგა ხანია იჩინა თავი.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ს უ რ ა თ ი.

აი, ელისო და ვახტანგი ჩამოვიდენ ისევ თავის სამშობლო ქალაქში, ჩამოვიდენ და ბინავდებიან აქ, იწყობენ თავისთვის ბუდეს, სადაც ერთათ, განუშორებლათ უნდა იცხოვრონ. სიზმარივით ჩქარა მოხდა ყველაფერი, მათი გაცნობა, ერთმანეთის შეყვარება, ჯვარისწერა, მერე ეს მოკლე, მაგრამ ათასი ახალი შთაბეჭდილებით და უზომო, უსაზღვრო ბედნიერებით სავსე მოგზაურობა... და აი ახლა აქ დაბინავდებიან, ისევ თავის სამშობლო ქალაქში და, რასაკვირველია, ბედნიერები იქნებიან ბედნიერები, ბედნიერები...

მართალია, ჯერ მათი სადგომი სასიამოვნო სანახავი არ არის, მოუწყობელი ოთახები თითქო გაჯავრებით უყურებენ ახალ პატრონებს; უხალიჩო კედლები და იატაკი, უფარდო ფანჯრები და კარები, აქა-იქ უადგილო ადგილას დადგმული დიდი ზანდუკები, შეკრული სკამები და სხვა ავეჯი, იატაკზე მოფენილი ქაღალდის და ბაწრების ნაგლეჯები, ნახევრათ გაღებული ყუთები, საიდანაც თივაში გახვეულ ჭურჭლებს და ლამპებს ამოუყვიათ თავი —ყველა ეს კარგ შთაბეჭდილებას არ ახდენს მაყურებელზე, მაგრამ... მაგრამ ელისოს და ვახტანგს ესეც კი მოწონთ და გულმოდგინეთ, გატაცებით ალაგებენ ყველაფერს ერთი გოგოს და ორი ბიჭის დახმარებით; ელისო, ბედნიერი და აშაყი იმითი, რომ გათხოვილი ქალია, რომ თავის „საკუთარ“ სახლს რთავს, მხიარულათ დაჭრის იქით-აქეთ და მისი პატარა, ფუნჩულა ხელები ყველაფერს ელვის სისწრაფით აკეთებენ; ხან ერთ ოთახში და ხან მეორეში გაისმის მისი მაღალი, წკრიალა ხმა; თითქოს ყოველ წამს უძახის ვახტანგს და იხმარებს მას ან სურათის დაკიდებაზე, ან დივანის და სტოლის შესაფერ ალაგას დადგმაზე, ან კრაოტის გადატანაზე... და ვახტანგიც ღიმილით მიჩერებია თავის ახალგაზდა, მოუსვენარ ცოლს, ყოველ სურვილს უსრულებს მას, ყველაფერში ეხმარება და თან, ხან-და-ხან, ჩუმათ, მსახურების ნამალევათ, მოასწრებს და კოცნასაც კი მოტაცებს ხოლმე მის ფუნჩულა, ალისფერ ტუჩებს... ელისო ვითომ გაიბუტება, შვენიერათ, ისე ბავშურათ წაუშვებს წინ ამ პუტკუნა, თითქო მარტო საკოცნელათ გაჩენილ ტუჩებს და საყვედურით ეუბნება ქმარს:—აგრე უნდა! ვისაც კაი ცოლი ჰყავს, მოხმარების მაგივრათ სულ ხელს უნდა უშლიდესო!—მისი მხიარული, ცისფერი თვალები კი ამ დროს სულ სხვას, სულ წინააღმდეგს ეუბნებიან ხელის შემშლელ ქმარს...

ცოტ-ცოტა პატარა სადგომი მართლა სიყვარულის ბუდეთ იქცევა; აი, მზათ არის საწოლი ოთახი, ცისფერი კედლებიანი, თეთრი არშიების ფარდებიანი, დიდი სარკით თეთრი არშიით მორთულ საპირფარეშო მაგიდაზე, თოვლივით თეთრ საბან გადაფარებული კრაოტებით და ყოველ საწერ მოწყობილობით მორთულ პატარა მაგიდით, ელისოს მაგიდით კუთხეში... აი, მუქი ლურჯ ხავერდ გადაკრული ავეჯით, ლურჯივე ხავერდის ფარდებით სამივე ფანჯარაზე, პატარა სტოლებით, შვენიერი ნახატებით და ურიცხვი ყვავილებით დამშვენებული სასტუმრო ოთახიც მზათ არის... აი, სასადილო ოთახიც, დიდი სტოლით შუაგულში, შვენიერი დიდი ბუფეტით და სტოლს ზევით ჩამოკიდებული დიდი ბრინჯაოს ლამპით... მხოლოთ ვახტანგის კაბინეტია კიდევ მოსახრთავი, ელისომ განგებ დატოვა ის საბოლოოთ.. ნეტავი თუ ჯობია რამე ქმრის კაბინეტის მორთვას? და აი, ელისომ დააჯინა ქმარი კუთხეში, უბძანა, აქედან არ გაინძრე, იჯექი, მარტო მაყურე, თუ არა მოხმარების მაგივრათ ხელს მიშლიო, და გოგოს დახმარებით თავისებურათ დატრიალდა; გასაკვირველათ ჩქარა იცვლებოდა ვახტანგის თვალწინ თითქმის სულ ცარიელი ოთახი; აი, ფანჯარასთან კუშეტკა მოთავსდა; მეორე კედელთან ელისოს ხელით მოქარგული ბალიშებით და ქუთაქებით მორთული ლამაზ ხალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩა გადაფარებული ტახტი გაჩნდა; აი, კუთხეში მიდგმულ ეტაჟერკაზე ლამაზათ დაეწყვენ გაფენთხილი და გაწმენდილი წიგნები, დიდ მაგიდაზე —ბროლის საწერელი თავისი მოწყობილობით, რამდენიმე წიგნი, დიდი ლამპა, დიდი ძირს დასადგამი საათი...

— ნამდვილი პატარა ჯადოქარი ხარ! —ღიმილით უთხრა ვახტანგმა ცოლს, —ახლა მაინც მომეცი ნება, რომ ავდგე და... მადლობა გადაგიხადო!

— არა! არა! სურათების დალაგება დამრჩა! იმასაც გავათავებ და მერე მოგცემთ ადგომის ნებას, ვაქბატონო! —ვითომ და სასტიკათ უპასუხა ელისომ.

—მადლობაც მაშინ გადამიხადეთ! ეშმაკური ღიმილით დაათავა მან და მაგიდის ქვეშ შედგმული ყუთიდან ძვირფას ჩარჩოებში გაკეთებულ სურათების ამოწყობა დაიწყო; აი, ვახტანგის დედა, ამაყი, მედიდური შეხედულობის ქართულათ თავდახურული ქალი; აი, მამაც, მხრებზე ყურთმაჯებ გადაგდებული, მხიარული, გულახდილი შეხედულების მოხუცი... ორივე სოფელში ცხოვრობენ; ვერაფრით ვერ ჩამოიყვანა ვახტანგმა ქალაქში, რომ ყველას ერთათ ეცხოვრათ... ეს—ვახტანგის ორი ძმა, სტუდენტები... უფროსი და, გათხოვილი... აი, ელისოც, რა მხიარულათ, რა ალტაცებით გამოიყურებიან სურათზე მისი დიდი ცისფერი თვალები... მაგრამ ეს რა სურათია? ელისოს ჯერ არ უნახავს! — და ახალგაზდა ქალი გაკვირვებით და თან რალაც უჩვეულო ალელვებით დააჩერდა უცნობ სურათს. სურათზე დახატულია ვახტანგი, ვახტანგი სტუდენტი, თეთრი კიტელით და თეთრი საზაფხულო სტუდენტური ქუდით; მის საფეთქელზე საფეთქელ მიდებული, მხარზე მხარ მინდობილი კი დგას ახალგაზდა, 14—15 წლის ქალიშვილი, თითქმის სულ ბავში... კეკლუც შავ თმახუჭუჭ თავზე დიდი სტუდენტური ქუდი აქვს ჩამოფხატული, სქელი წამწამებით დაჩრდილული დიდი მუქი თვალები რალაც უნუგეშოთ გაიყურებიან სადღაც შორს, შორს... ქალიშვილის შვენიერი, პოეტური თავი ლამაზი ყვავილივით ამოდის სტუდენტური პალტოს დიდი საყელოდან და რალაც ნაზ, მომხიბლავ შთაბეჭდილებას ახდენს ვახტანგის ვაჟკაცურ, გამბედავ სახის გვერდში...

— ვახტანგ! ეს უნცროსი და რომ მოგიკვდა, ის არის?

ვახტანგი სწრაფათ მიუახლოვდა ელისოს, გამოართვა სურათი, დადგა მაგიდაზე, ორივე ხელებით დაეყრდნო მაგიდის ფიცარს და სურათს მიაჩერდა... მიაჩერდა და თვალი ველარ მოაშორებინა ბედიკოს ბავშური, უმანკო სახისათვის...

რა უდროოთ გაჰქრა, რა ცოტა ხანს ცხოვრობდა ქვეყანაზე ეს ნაზი, ეს შვენიერი არსება! გაჰქრა, აღარ არის, მაგრამ ვახტანგის გულში არაოდეს არ გაჰქრება მისი ხსოვნა; როგორც რამე ღრმა პოეტური თხზულება ადამიანის გულში რალაც ნაზ, სანეტარო გრძნობას ტოვებს, ისე ამ ბავშის მოკლე სიცოცხლესაც დაეტოვებინა ვახტანგის გულში ნაზი, პოეტური გრძნობა; ახლაც გული კვნესას დაუწყებდა ვახტანგს, როდესაც გაახსენდებოდა ბედიკოს რომელიმე სიტყვა, რომელიმე ხუმრობა, მისი ხმა, მისი სიცილი, მისი ხტუნაობა და ეშმაკობა... სწორეთ ოჯახის თვალი, ოჯახის გამაბედნიერებელი იყო! როგორ აყვარებდა ყველას თავს, როგორ უყვარდა თითონაც ყველა, როგორ ცდილობდა ყველასთვის ესიამოვნებინა, ცდილობდა ჩაეფუჩეჩებინა ყოველი უსიამოვნო სიტყვა, უბრალო, უმნიშვნელო შეტაკება და-ძმას, ან დედაშვილს შორის... და როცა ყველას მხიარულს და კმაყოფილს ხედავდა, რა შვენიერათ ელვარებდენ ხოლმე მისი სქელი წამწამებით დაჩრდილული დიდი მუქი თვალები, რა ბავშური ალტაცებით გაიქნევდა ხოლმე კეკლუც თავს და შეათამაშებდა ბეჭებზე დაყრილ შავ ხუჭუჭ თმას...

მაგრამ რალაც გაუგებარი, რალაც უცნაური იყო ეს ბავში სულ პატარაობიდანვე! როგორ მოიწყენდა ხოლმე უცებ ისე უმიზეზოთ, როგორ შეწყდებოდა ხოლმე მისი ხუმრობა და სიცილი, მიიბნიდებოდენ მოელვარე თვალები... დიდი, დიდი ხვეწნის და ჩაცივების მერე იტყოდა ხოლმე, რატომ არის ქვეყანაზე ამდენი ტანჯული და დაჩაგრულიო, თუ ღმერთი ისე გულკეთილია, როგორც ამბობენ და თან ისეთი ყოვლათ შემძლებელიო, რატომ არ აწუხებს ამდენი უბედურება, რატომ არ მოსპობს მას ძირიანათო?

„როგორ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს, როცა გარს ამდენი უბედურები, ამდენი საწყლები ახვევიან, როცა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ვისამე ტანჯვას წაატყდებაო!“ უთხრა მან ერთხელ ვახტანგს

და ისეთი უნუგეშობით, ისეთი სევდით მიაპყრო თავისი დიდი თვალები, რომ ვახტანგს გული მთლათ ერთიანათ გადმოუბრუნდა...

არა! არა! არა! იმ ბავშვისთანა ვახტანგს არავინ არ ჰყვარებია, არ ჰყვარებია და არც ეყვარება! იმ ნაზ, იმ წმინდა, პოეტურ გრძნობას, რომელიც ვახტანგს ბედიკოსათვის ჰქონდა, რომელიც გულზე მოაწვებოდა, როდესაც მას მოწყენილს და ჩაფიქრებულს დაინახავდა, არაფერი, არაფერი არ შეედრებოდა! არაფერი არ შეედრებოდა იმ მწვავე ტანჯვასაც, რომელიც ვახტანგმა გამოსცადა, როდესაც ბედიკო, მთელი ოჯახის საყვარელი და სათაყვანო ბედიკო უდროო სიკვდილმა წუთისოფელს გამოათხოვა...

აი, ახლაც! ვახტანგი თვალს ვერ აშორებს სტუდენტურათ გამოწყობილ ბედიკოს და ისევ ის პოეტური, ის ნაზი და წმინდა გრძნობა ეძრება გულში; უყურებს და თვალ წინ უდგას ის წამი, როდესაც დაავათმყოფებულმა, დასუსტებულმა, თითქმის კვდევაც სასიკვდილოთ გადადებულმა ბედიკომ გამოაცხადა, სტუდენტურათ უნდა ჩავიცვა და ვახტანგთან ერთათ გადავიღო სურათიო; ვახტანგი მისი საყვარელი ძმა იყო... და და-ძმა გადაიხატენ... როცა ეს სურათი მოუტანეს ლოგინში მწოლიარე ბედიკოს, მან დიდ, დიდ ხანს უყურა, მერე მოუბრუნდა იქავე მჯდომ ვახტანგს, მიუახლოვა მის ყურს ტუჩები და ჩუმათ, სულ ჩუმათ, თითქო ნაზი სიო ჰქროდესო, ჩაუჩურჩულა:

— მე რომ აღარ ვიქნები, ეს სურათი ჩემ სახსოვრათ შეინახე, არ მოიშორო!

„მე რომ აღარ ვიქნები, ეს სურათი არ მოიშოროო!“ ეს სიტყვები ახლაც ესმის ვახტანგს, ახლაც ნაზ სიოსავით ეალერსება მის ყურს, ახლაც უჩქარებს გულისცემას და ცრემლებით, მსხვილ-მსხვილი ცრემლებით უვსებს და უბნელებს თვალებს...

ელისოს ვახტანგის მხარზე დაენდო თავი და ისიც სურათს მიჩერებოდა; უყურებდა მიხუტებულ და-ძმას და გულში რაღაც ეჭვი, რაღაც სიხარბე ებადებოდა; მას არაოდეს არ გადაეღო ვახტანგთან ერთათ სურათი, არაოდეს არ შეენიშნა მის თვალებში ის გამოუთქმელი სინაზით სავსე გამომეტყველება, რომელიც ასე აშვენებს სურათზე მის ვაჟკაცურ სახეს, და ეს გამომეტყველება გამოუწვევია ამ პატარა, ამ შვენიერ დას, ეს სიყვარული, ეს ნაზი გრძნობა, რომელიც ამ თვალებში გამოკრთის, იმ დას ეკუთვნის და მხოლოთ იმას; იმას, სხვას არავის... ელისო სულ სურათს მიჩერებია... და ახლა თვალწინ ვახტანგის სახის გვერდში ამ შავ-ხუჭუჭ თმა გაშლილ ბავშვის უმანკო და პოეტურ თავის მაგიერათ თავისი თავი ელანდება, თავისი თავი ამ დიდ ქუდჩამოფხატული და სტუდენტურ პალტოს საყელოდან ლამაზათ ამოსული...

— ვახტანგ! — ნაზი, სიყვარულით სავსე ხმით დაიწყო ელისომ. — მე და შენც რომ ასე გადავიღოთ სურათი?...

ვახტანგი შეკრთა, გამოერკვა, გაიმართა და თითქმის ზიზღით შეხედა ელისოს, ამ ელისოს, რომელიც თავის თავს ბედიკოს ადარებდა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა გრძნობები ტრიალებდა ახლა მისი ქმრის გულში, რა წმინდათა წმინდა იყო დის ხსოვნა მისთვის..

— არა! არა! არა! — მხოლოთ ამისი წამოძახება მოახერხა ყმაწვილმა კაცმა და საჩქაროთ, აკანკალებული ხელით ჩააგდო სურათი მაგიდის გამოწეულ უჯრაში.

ელ. წერეთელი.

1897 წ. 22 სექტემბერი.

ჩვენი სახიობა.

(საიუბილეო წარმოდგენა)

8 ოქტომბერს გაიმართა პირველი წარმოდგენა და ეს წარმოდგენა დაუკავშირეს ქართული მუდმივი სცენის ოცი წლის არსებობას როგორათაც მოსალოდნელი იყო, თეატრი თითქმის სულ სავსე იყო საზოგადოებით. წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე ბ. მთავარმართებელი თ. გოლიცინი, რომელიც წარმოდგენის გათავებამდის დარჩა თეატრში. წარმოადგინეს ერთი მოქმედება გოგოლის „რევიზორიდან“, ერთი ხათაბალიდან და ერთიც ა. ცაგარლის კომედიიდან — რაც გინახავს-ვეღარ ნახავ!.. წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა. თუმცა ზოგიერთებს როლის უცო-

დინარობა ეტყობოდათ და ამის გამო უმარილოთ ლაპარაკობდენ სცენაზე.. ამ საღამოს კარგი რამ იყო ბ. აბაშიძე გოროდნიჩის როლში!.. იმ დროს, როდესაც გოროდნიჩი აძინებს ხლესტაკოვს, უკანა ბრუნდება და აჩუმებს ცოლ-შვილს: დაბალი ხმით ილაპარაკეთ, რევიზორი არ გააღვიძოთო—საუცხოვო სანახავი იყო...

წარმოდგენას შემდეგ ბ. კავსაძის ხორომ შეასრულა ორი საერო სიმღერა. ამას შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო აქტი. სცენის აქეთ-იქით მხარეზე ჩამომწკრივდენ არტისტები—ცალ მხრივ კაცები და მეორე მხრივ ქალები. სულ პირველათ არტისტებს მიმართა სიტყვით ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელმა ბ. გუნიამ და მადლობა გადაუხადა შრომისთვის. შემდეგ კ. ყიფიანმა მოახსენა ამხანაგებს თეატრის თავგადასავალი და ისურვა რომ საზოგადოებამ და არტისტებმა ხელი შეუწყონ სასცენო ხელოვნების წარმატებას. ბოლოს დაიწყეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მოსული დეპეშების კითხვა, რომელშიაც ულოცავდენ არტისტებსა და საზოგადოებას სამუდამო სცენის ოცი წლის არსებობას. დეპეშები იყო ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის თ. წერეთლისაგან, ვლ. ალექსი. მესხიშვილისაგან, გორის საზოგადოებისაგან, ოზურგეთის ინტელიგენციისაგან, ბათომის ქართველ საზოგაროებისაგან, კავკაველ ქართველებისაგან, სოხუმელებისაგან, ბაქოში მცხოვრებ ქართველობისაგან, მაკო საფაროვისაგან (პარიჟიდან) და ეფემია მესხისაგან. დასასრულ ხორომ იმღერა მრავალჟამიერი და ნასიამოვნები საზოგადოებაც დაიშალა.

ვ—ო.

წერილი რედაქციის მიმართ.

„კვალის“ მე-38 ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ასკანიდან ვიღაც მესა-ფარლისა, რომელიც, ეხება რა სხვა და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას, სკოლის შესახებ ამბობს, ვითომც ეს „წმინდა ადგილი“ ბრძოლის მოედნათ გამხდარიყოს და შიგ თავის მოვალეობას აღარავინ ასრულებდეს. როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, ამ გარემოების მიზეზი მე უნდა ვიყო; ხოლო რამდენათ ეს ბრალდება ჩემზე მართალია, მივმართავ წარსულ წელში ჩემთან მოსამსახურე მასწავლებელთ ბ. ბ. ივანე კალანდაძეს, მირიან რამიშვილს და ახალს — დავით ფოცხიშვილს; დეე იმათ აღიარონ გულახდილათ სინიდისის წინაშე, ჰქონდათ ან აქვთ იმათ ბრძოლა ჩემთან რაიმე ბრძოლა თუ არა! რაიცა შეეხება ჩემი ყოველდღე მოვალეობის აუსრულებლობას, ვერც ერთი მასწავლებელი ვერ დაიკვეხნის რომ იმას ყოველივე თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე უნაკლოთ აესრულებინოს, და ვერც მე ვიტყვი, ხოლო რომ მე შეძლებისა და გვარად ჩემ მოვალეობას ზედმიწევნით ვასრულებ, ამის მოწმეთ თვით თქვენ გამოდგებით, ბატონო მესაფარლო, თუ თქვენი „ანგლოსაქსებურ წმინდა“ ზნეობა-სინიდის-პატიოსნებას არ უღალატებთ და თავის ინტერესებს და გულის თქმას არ გაჰყვებით! თუ არა და, მოწმეა მთელი ასკანის საზოგადოება, ან არა და საბუთები გექნებათ და, იმედია, წარმოადგენთ მკითხველი საზოგადოების წინაშე. 1) ამასთან გვწამს, რომ სკოლა-ბიბლიოთეკა ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მოქმედებდენ და მათი გამგე-მასულდგმულებელნი მასწავლებლები უნდა იყვნენ, თუ არა, თქვენი არ იყოს, „თავნი თვისნი თანაკლავთ“, მაგრამ როცა იგივე მასწავლებლები ყოველ დღეს მოკლებულნი იქნებიან განაგონ სკოლასთან ერთად ბიბლიოთეკის საქმეც, როცა ისინი „არა მკითხე მეტოჩარებათ“ ჩაითვლებიან, თუ ბიბლიოთეკის გაწეს-რიგებაზე კრინტი დაძრეს, მაშინ რას გვაბრალებთ, ბატონო მესაფარლო! და რომ ეს ასეა, ისევ თქვენ, და ისევ თქვენ ბრძანდებით ამის მოწმე, თუ ცოტათი წარსულშიც გადადგამთ ფეხს თქვენსავე მეხსიერებაში. აქ არა ჩვენ ვღალატობთ ჩვენს მოვალეობას და ჩვენს ჯილდოთ ზნეობა-სინიდისზე, არამედ თვით თქვენ, ივიწყებთ იმას, რასაც შარშან აშკარათ ლაპარაკობდით. მაგრამ ახლა დროები იცვალენ, და თქვენც „დიდი კინმეს“-კენ წაიწიეთ! შემდეგ თქვენ ბრძანებთ, მთელი წლის განმავლობაში არც ერთ სკოლის ბავშს ბიბლიოთეკის წიგნი არ წაუკითხავსო, და ეს ხომ ცოცხალი ტყუილია, თქვენგნით ჭეშმარიტების დასაფარავათ შეთხზული, თუ არა გადაათვალიერებდით, თქვენ მამაცხონებულო, კარგათ იმ დავთარს რომელშიდაც თქვენ „არა“ ამოიკითხეთ და ასობით „კი“-ს ნახავდით. თქვენ თვით მე მიკიჟინებთ, ბატონო მესაფარლო, რომ წლის განმავლობაში არც ერთხელ არ შეუხედნია ბიბლიოთეკაშიო, მაგრამ ესეც ცოცხალი ტყუილი გახლავსთ, რასაც ძალიან ბევრი მოწმითა და საბუთებით დაგიმტკიცებთ. რაიცა შეეხება იმას, რომ ადგილობრივი მასწავლებლები წიგნებს არ კითხულობენ, არ ეინტერესებიან წიგნების კითხვათ, რის შემდეგათ ის გამოგყავთ, რომ ბიბლიოთეკაში ზოგი ჟურნალ-გაზეთობა გაუხსნელ-გაუჭრელი აწყვია თაროებზედო, უნდა მოგახ-

1) საბუთები სკოლის შესახებ ბევრი იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ გამოვიდა. რედ.

სენოთ, რომ ჩემი მხრით მე გვარიანათ კარგათ მაქვს შესწავლილი კითხვის პროცესი და მის გასავითარებლათ მე ჟურნალ-გაზეთობას ვერ ვიკითხავ, რაც უნდა გამიჯავრდეთ, ხოლო ჭკუა-გონებისთვის თუ რამ შესამენი ვნახე, ვერ დავტოვებ, კიდეც რო ამიკრძალოთ, და თქვენს არა ერთხელ ჩვენზე გადმოცემულ მოძღვრებას კი წაუკითხავი წიგნების ფურცლების გაჭრის შესახებ, რაც უნდა სირცხვილი იყვეს გაუჭრელი წიგნების თაროზე დება, მაინც ვერ მივიღებთ და ვერა, ბატონო მეხაფარელო! რაიცა შეეხება სახალხო კითხვებისა და სალიტერატურო საღამო-წარმოდგენების გამართვას, ამას ჩვენის აზრით, ცოტათი ხელს კი შეუშლიდა ჩემი ავათმყოფობა, რის გამოც მთელი ზაფხული მთაზე გავატარე, მაგრამ თქვენ არა მიმხედველი ამისა მაინც გვისაყვედურებთ, ის კი გავიწყდებათ, რომ ვისაც ასე ხალხისთვის გული შესტკივა, როგორც თქვენ ამბობთ, ფრიად საკმაოა იმისთვის ერთი თვე, რამოდენჯერმე გამართოს სოფლათ სახალხო გასართობები, და თქვენ კი თვეზე მეტიც ბრძანდებოდით სახლში, როგორც ვიცით, ბატონო კორესპონდენტო! ახლა კი ბანკზე გადვიდეთ. „რაც შეეხება ბანკს“ ამბობთ თქვენ, აქაც იგივე სიბნელე, იგივე ბურუსი და გაუგებრობა სუფევსო, როგორც სკოლაში და ბიბლიოთეკაში. სკოლის „სმოტრიტელი“ ბანკის უფროსი „დირექტორია“, და აქაც ისე უკანტროლოთ, აღვირ წახსნილათ მოქმედობს, როგორც სკოლაში“... და ბიბლიოთეკაშიც?! დავუმატებთ ჩვენ და თან კიდევ ეჭვში ვართ: ბ—მა მეხაფარელმა იმ სკოლის „სმოტრიტელათაც“ არ დამსახოს, რომელშიდაც თვით მსახურებს! აქ კი სრულათ გღალატობსთ, ბ-ნო კორესპონდენტო, ადამიანის ყოველივე თვისება, გარდა ფრთოსანი ფანტაზიისა, თორემ საიდან დაგესიზმრათ ჩემი ბანკის „დირექტორობა“,?? სადაც ის წაიკითხეთ, რომ საზოგადო კრების დადგენილებამ ვადის გაგრძელება მოსპო, იქ იმასაც წაიკითხავდით, თუ ჭეშმარიტება გეინტერესებოდათ, რომ მე 14 მარტის შემდეგ ბანკში გარდა წევრობისა არავითარ მოვალეობას არ ვასრულებ! წინეთ კი ორი წლიწადი უსასყიდლოთ ვემსახურე საზოგადოებას ბანკის გამგეთ, მაქვს კრებისგან ბოძებული საჩუქარი ჩემი „უსინდისო“ მოქმედებისათვის (?) და, აგრეთვე, როცა 14 მარტს ბანკის მართვა-გამგეობას თავი დავანებე, მთელ კრებას გული დაწყდა, სამჯერ გაიმეორა თხოვნა იმის შესახებ, რომ კვლავ დავრჩენილიყავი ბანკის გამგეობის წევრათ, და რომ არა გაუვიდათ რა, ჩემ მაგიერი კაცი აღარ აურჩევიათ იმ იმედით, რომ მე როდისმე კიდევ მოვიბრუნებდი გულს და ხელახლათ მოვკიდებდი ხელს ბანკის მართვა-გამგეობას; ეს ჩემ მაგიერი კაცი ჯერაც არა, არჩეული, და ეს ყველა იმიტომ, რომ მე „აღვირ-ახსნილათ, უკანტროლოთ და უსინდისოთ ვმოქმედებდი“. თუმცა ერთ ორიოდე სიტყვას კიდევ მოვახსენებ ბ-ნ მეხა-ფარელს შესახებ ადგილობრივ მწერალ-მამასახლისისა. მაგ. მაშინ ხომ კარგი მწერალ-მამასახლისი იქნებოდენ, ბ. მეხა-ფარელო, რომ თქვენი უკანასკნელი თხოვნა შეესრულებინათ?! მაშინ ხომ „ხრიკოსანი ყარამან-მწერალი“ არ იყო, როცა იმ თქვენ ნაგმობ ბიბლიოთეკას წლიწადში ერთ-ერთი გაზეთს უწერდა, ან მაშინ, როცა სკოლის ღარიბ შეგირდებს წელიწადში ოცი—ოც-და ათი მანეთისას კალამ-კარანდაშს—ქაღალდს აწოდებდა და მით ღარიბთ სწავლას უადვილებდა?! ან მაშინ, როცა ყოველივე აქაურ საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებდა, შრომობდა და იღვწოდა? თქვენი კი რა მოგახსენოთ, და საზოგადოებას რომ აჰ დაენახა იმ „ყარამან-მწერლის“ ერთგულება, სხვათა-შორის არც ას მანეთ ჯამაგირს მოუშალებდა ყოველ წლივ, და რომ ეს ასეა, შეეკითხეთ სახლში თქვენ მშობლებს, ბ. სათნო მუშავ!? თან თქვენ უკიჟინებთ იმ „ყარამან-მწერალს“, მამასახლისობა უნდაო, და რაა მერე: თქვენ უფრო მეტიც გინდოდათ ასკანაში, ვერ მოახერხეთ თორემ! და ან სად იყო ის თქვენი „ათვალწუნებული მწერალი, თუ მამასახლისობა უნდოდა, მაშინ, როცა მთელმა ასკანის საზოგადოებამ რამდენჯერმე განმეორებით თხოვა მამასახლისათ დამდგარიყო?!

თქვენი მეგობარი ასკანის ორკლასიანი სკოლის
გამგე ივლიანე ჭეიშვილი.

„კვალის“ ფოსტა.

ქ. სოხუმში ბ. მ. თ—იას. რედაქციამ გთხოვათ პირობის პირი, თქვენგან კი მიიღეთ პირობის ბლანკი.

ს. ასკანაში, ბ. ყ. დო—ეს. ბ. ივლიანე ჭეიშვილის საპასუხო წერილში მეხა-ფარელის წინააღმდეგ თქვენი გასამართლებელი საბუთებიც საკმაოა, ამის გამო თქვენი საპასუხო წერილის დაბეჭდა რედაქციას მეტათ მიაჩნია.

ბ. ი. გ—მეს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

შეცდომის გასწორება.

№ 40 ახალ ამბავში ნათქვამია: ამ ჟამათ ინგილოში რამდენიმე მწარმოებელია, უნდა იყოს — ამ ჟამათ თფილისში...

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 16 Октября 1899 г. Тип. Т. М. Ротиніянца—სტამბა ტ. მ. როტინიანცისა. Год. изд. I. № 41.